Polatyol

დოკუმენტი №TMO/20/0121 04.05.2020წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს,
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

როგორც თქვენთვის ცნობილია სს „ფოლათ იოლ იაფი სანაი ვეთიჯარეთ"-ის ფილიალი საქართველოში (საიდენტიფიკაციო კოდი: 404903707) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ნატანებში გეგმავს საგზაო სამშენებლო მასალების მწარმოებელი ობიექტების (ინერტული მასალების სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქრო, ბეტონის საამქრო და მობილური ტიპის ასფალტის ქარხანა) მოწყობას და ექსპლუატაციას. ინფრასტრუქტურის დამონტაჟების და ექსპლუატაციაში გაშვების შემდგომ საწარმოო ობიექტი გადაამუშავებს სასარგებლო წიაღისეულს და დამუშავებულ მასალას - სხვადასხვა ფრაქციის ქვიშა-ხრეშს გამოიყენებს საგზაო სამოსის მოსაწყობად საჭირო ბეტონის ნარევის და ასფალტის მისაღებად, რომლითაც მომარაგდება რეგიონში დაგეგმილი და მიმდინარე საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტები.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მოთხოვნების საფუძველზე საქმიანობის განმახორციელებელმა მოამზადა და სამინისტროში წარადგინა სკრინინგის ანგარიში. მასზე 2020 წლის 22 აპრილს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გამოსცა N30 სკოპინგის დასკვნა.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს და ზემოაღნიშნული სკოპინგის დასკვნის მოთხოვნების შესრულების მიზნით წარმოგიდგენთ სს „ფოლათ იოლ იაფი სანაი ვეთიჯარეთ"-ის ფილიალი საქართველოში ასფალტის საწარმოსა და სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის გზშ-ს ანგარიშს და შესაბამის დოკუმენტაციას.

გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიიღოთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

წერილს თან ერთვის:

- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი №33224 1 ეგზემპლარად;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიში - 1 ეგზემპლარი;

სს "ფოლათ იოლ იაფი სანაი ვე თიჯარეთ"-ის
ფილიალი საქართველოში
ს/კ:404903707
ლვოვის ქ. #39
0160 ქ.თბილისი / საქართველო
polatyol.com

Polatyol Yapı San. Ve Tic. A.Ş.
Georgia Branch
T/N: 404903707
Lvovi St. №39
0160 Tbilisi / Georgia
polatyol.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 6784
"04" 05 2020

Polatyol

- გზშ-ს ანგარიშის არატექნიკური რეზუმე - 1 ეგზემპლარი;
- საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი - 3 ეგზემპლარი;
- სკოპინგის დასკვნით განსაზღვრულ საკითხებზე რეაგირების ცხრილი - 1 ეგზემპლარი;
- სიტუაციური სქემა - 1 ეგზემპლარი;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან სს „ფოლათ იოლ იაფი სანაიი ვეთიჯარეთის ფილიალი საქართველოში" რეგისტრაციის თაობაზე -1 ეგზემპლარი;
- ელექტრონული დანართები: დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია და საწარმოს კოორდინატები shape ფაილების სახით.

პატივისცემით,
სს „ფოლათ იოლ იაფი სანაიი ვე თიჯარეთ"-ის
ფილიალი საქართველოში
დირექტორის აიდინ ფოლათის მინდობილი პირი
მუსლუმ არიჯაქ

სს "ფოლათ იოლ იაფი სანაი ვე თიჯარეთ"-ის
ფილიალი საქართველოში
ს/კ:404903707
ღვოვის ქ. #39
0160 ქ.თბილისი / საქართველო
polatyol.com

Polatyol Yapı San. Ve Tic. A.Ş.
Georgia Branch
T/N: 404903707
Lvovi St. №39
0160 Tbilisi / Georgia
polatyol.com